მან აკრძალა აღთქმა და თქვა: «რომ მას არ მოაქვს სიკეთე, არამედ მხოლოდ ძუნწისგან გამოაქვს

გადმოცემულია იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): ალლაჰის მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) გადმოცემულია, რომ მან აკრძალა აღთქმა და თქვა: «რომ მას არ მოაქვს სიკეთე, არამედ მხოლოდ ძუნწისგან გამოაქვს».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) აკრძალა აღთქმა, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანი თავის თავს აკისრებს ვალდებულებას, რომელსაც შარიათი არ ავალდებულებს. მან აღნიშნა, რომ აღთქმა არ აჩქარებს და არ აყოვნებს რაიმეს, არამედ მხოლოდ ძუნწისგან იღებს იმას, რასაც ის ვალდებულია გააკეთოს. ასევე, აღთქმა არ მოიტანს იმას, რაც წინასწარ არ არის განსაზღვრული მისთვის.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/2960